რეზიდენციის პროგრამა - ხელოვნების საერთაშორისო რეზიდენცია „Cité des arts“ / პარიზი 2018

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი აცხადებს კანდიდატურების მიღებას პარიზის ხელოვნების საერთაშორისო რეზიდენციის „Cité des Arts“-ის პროგრამაზე, რომელიც განკუთვნილია უცხოელი ხელოვანებისთვის (ყველა დარგში), რომლებსაც სურთ განავითარონ შემოქმედებითი ან კვლევითი პროექტი პარიზში, სამი ან ექვსი თვის განმავლობაში.

2018 წლის პერიოდისთვის დაგეგმილი რეზიდენციისთვის კანდიდატურების მიღება 2017 წლის 22 სექტემბრამდე გრძელდება. პარიზის ფრანგული ინსტიტუტი ფარავს ლე მარეს უბანში, ოტელ დე ვილის ქუჩა 18-ში მდებარე „Cité des Arts“-ში 40 m^2 საცხოვრებელი/სახელოსნოს დაქირავების ხარჯებს. სხვა ხარჯები, დაბინავების გარდა, თავად კანდიდატმა უნდა იტვირთოს.

ხელოვანის პროექტისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციის მდებარეობიდან გამომდინარე რეზიდენცია შეიძლება განხორციელდეს პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქში ერთდროულად და გაგრძელდეს მეორე ქალაქში.

ძირითადი პირობები

პროგრამაში შემავალი ხელოვნების დარგები:

ყველა დარგი: არქიტექტურა/პეიზაჟი/ურბანიზმი, ვიზუალური ხელოვნება, სასცენო ხელოვნება, ქუჩის ხელოვნება/მარიონეტები, ციფრული ხელოვნება, კომიქსი, დიზაინი/გრაფიკული დიზაინი, ლიტერატურა/საბავშვო ლიტერატურა; სახელოვნებო ხელობები; მუსიკა; კინო/ ანიმაციური კინო/შემოქმედებითი დოკუმეტური კინო, გამოფენების კურატორობა.

შერჩევის კრიტერიუმები

- კანდიდატები უნდა იყვნენ ჩართული პროფესიულ ცხოვრებაში,

- საუბრობდნენ ფრანგულად ან ინგლისურად,

- დაასაბუთონ თავიანთი ადრინდელი ნამუშევრების არსებობა,

- იყვნენ ავტონომიურები რეზიდენციის მართვაში,

- განთავისუფლდნენ პროფესიული საქმიანობებისგან საფრანგეთში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

- დაადასტურონ ფინანსური მხარდაჭერა ფრანგული ან ადგილობრივი კულტურული დაწესებელების მხრიდან მათი რეზიდენციის დროს ცხოვრების ხარჯების დაფინანსებისათვის.

ასაკობრივი შეზღუდვა არ არის დაწესებული.

შერჩევის წესი

კანდიდატის პროფესიული კარიერის გარდა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წარდგენილი პროექტის ხარისხს, პარიზში მუშაობის აუცილებლობას, დაგეგმილი სამუშაოს პროტოკოლს და უკვე დამყარებულ კონტაქტებს.

ყველა დოსიეს განიხილავს საკონსულტაციო კომისია, რომლის თავმჯდომარეა პარიზის ფრანგული ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილე და რომელშიც შედიან: ფრანგული ინსტიტუტის ექსპერტები და სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლები: საზღვარგარეთში საფრანგეთის ქსელის, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, სახვითი ხელოვნების ეროვნული ცენტრის, ტოკიოს სასახლის სარეზიდენციო პროგრამის „Pavillon Neuflize OBC“, საერთაშორისო სახელოვნებო ქალაქის „Cité des Arts“.

კომისია იტოვებს უფლებას უარყოს პროექტი თავისი გადაწყვეტილების მოტივირების გარეშე. მისი გადაწყვეტილება არ გადაიხედება.

რეზიდენციის განხორციელების თარიღები (ჩასვლა/წამოსვლა) და ხანგრძლივობა:

რეზიდენციის ხანგრძლივობა 3-დან 6 თვემდე განისაზღვრება. შერჩეული ხელოვანი აუცილებლად უნდა ჩავიდეს პარიზში რეზიდენციის პირველი თვის დასაწყისში და დატოვოს რეზიდენცია ბოლო თვის დასასრულს, შემდეგი განრიგით 2018 წლისთვის (თვის შუაში ჩამოსვა ან წასვლა დაუშვებელია) :

- 2018 წლის 9 იანვარი / 2018 წლის 4 აპრილი (პრიორიტეტი ენიჭება ლიტერატურას, კომიქსს, დიზაინს, სახელოვნებო ხელობებს)

- 2018 წლის 9 აპრილი / 2018 წლის 4 ივლისი (პრიორიტეტი ენიჭება კინოს, და სხვა სასცენო ხელოვნებას)

- 2018 წლის 9 ივლისი / 2018 წლის 4 ოქტომბერი (ყველა დარგი)

- 2018 წლის 9 ოქტომბერი / 2019 წლის 4 იანვარი (პრიორიტეტი ენიჭება ვიზუალურ ხელოვნებას)

<u>ყურადღება</u> : რეზიდენციის დაწყების თარიღის დაუსაბუთებელი გადაწევის ან რეზიდენციის ნაადრევად დატოვების შემთხვევაში ხელოვანს დაეკისრება ჯარიმა. ეს ჯარიმა დაანგარიშდება გაცდენილი დღეების ხარჯების მიხედვით.

კანდიდატის დოსიეს წარდგენა

კანდიდატის დოსიე უნდა იქნეს წარდგენილი 2017 წლის 22 სექტმებრამდე ელექტრონული ფორმით საქართველოს ფრანგული ინსტიტუტში შემდეგ მისამართზე:

audrey.margueritat@institutfrancais.ge

არასრულყოფილი დოსიეები არ განიხილება.

კანდიდატის დოსიე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1 - კანდიდატის ფოტო

2 - პასპორტი*

**(ძალაში მყოფი პასპორტის ასლი)*

3 – განაცხადი*

**(განაცხადში კანდიდატი ადასტურებს, რომ ის არის ერთპიროვნული ავტორი დოსიეში წარდგენილი ნამუშევრებისა. (იმ შემთხვევაში თუ ნამუშევარი შექმნილია თანაავტორობით, კანდიდატმა უნდა დაასახელოს თანაავტორების სახელები და მათი წვლილი ნამუშევრის შექმნაში); კანდიდატი ასევე აცხადებს, რომ ის რეზიდენციის პერიოდში განთავისუფლდება პროფესიული ვალდებულებებისგან).*

4 - CV

5 - კანდიდატის მოკლე ბიოგრაფია*

**(არ უნდა აღემატებოდეს 500 ასო-რიცხვს)*

6 - პროექტი*

**(დაბეჭდილი პროექტის აღწერა, 3-10 გვერდი, ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე, რომელშიც კანდიდატი აღწერს რეზიდენციის მოტივაციებს, კვლევის თემებს და შესასრულებელი სამუშაოს ბუნებას).*

7 - კანდიდატის პორტფოლიო

8 - სამი სურათი*

**(სათაურებით)*

9 - დამატებითი ინფორმაცია*

**(ყველა სახის ვიზუალური თუ ხმოვანი მასალა, რომელიც კანდიდატის განაცხადის შეფასებას, ასევე მისი ნამუშევრების უკეთ გაცნობას შეუწყობს ხელს).*

10 - ადგილობრივი დაწესებულების წერილი ფინანსური მხარდაჭერის შესახებ.